საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2155-03
18/11/2025

,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტუდენტების დასაფინანსებლად საფაკულტეტო კვოტების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უმაღლესი განათლების დეპარტამენტის უფროსის, მაია შუხოშვილის 14/11/2025, MES 3 25 0001614937 წერილისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 13/11/2025 MES 7 25 0001606606 ბრძანების საფუძველზე, ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის N2229-03 16/11/2023 ბრძანების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილის, ირინა ბაზღაძის N 20499-35, 18.11.2025. სამსახურებრივი ბარათის, რექტორის N 3437-02 07/11/2025 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტუდენტების დასაფინანსებლად საფაკულტეტო კვოტები შემდეგნაირად:

ფაკულტეტი	რაოდენობა	%	894
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი	5840	41%	367
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	6209	44%	390
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი	598	4%	38
სამართლის სკოლა	1574	11%	99
Grand Total	**14221**		**894**

2. რექტორის N2229-03 16/11/2023 ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად სტიპენდიანტ სტუდენტთა შერჩევის მიზნით, უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას უფლება აქვთ ფაკულტეტის/სკოლის დეკანის ბრძანებით შექმნან კომისია საფაკულტეტო დონეზე. კომისია განუსაზღვრავს შესაბამისი ქულების მქონე სტუდენტებს კრიტერიუმების

დაკმაყოფილების შესახებ წარმოსადგენი დოკუმენტაციისთვის გონივრულ ვადას, რომლის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტები აღარ განიხილება სტიპენდიის გაცემის მიზნებისთვის.

3. დაევალოს რექტორის მოადგილეს, გიორგი გვალიას სტიპენდიანტთა შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის 17/04/2025, MES 9 25 0000422702 წერილით მოთხოვნილი დოკუმენტების, ასევე ამავე წერილის დანართის შესაბამისად, უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრისთვის შერჩეულ სტიპენდიანტთა მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს/სკოლას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, გიორგი გვალიას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაციისა და მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოადგილეს, ირინა ბაზღაძეს.

გიორგი გვალია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი